

შეთანხმება №26/4

საფუძველი: აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის სტატისტიკისა და ანალიტიკის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის ნანა დოლიძის 2020 წლის 10 ნოემბრის მოხსენებითი ბარათი N153

ერთის მხრივ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი თავმჯდომარის - თინათინ ზოიძის სახით და მეორეს მხრივ, ა(ა)იპ ევროპული საგანმანათლებლო ცენტრი (შემდგომში მიმწოდებელი), წარმოდგენილი დირექტორის გიორგი ბენაშვილის სახით, შევთანხმდით რომ მხარეთა შორის 2020 წლის 14 თებერვალს გაფორმებული №26 ხელშეკრულების (სატენდერო განცხადება NAT200000663) მე-7 მუხლის თანახმად:

1. შევიდეს ცვლილება ზემოაღნიშნული ხელშეკრულების დანართი N1-ში და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.
2. შევიდეს ცვლილება ზემოაღნიშნული ხელშეკრულების პირველი მუხლის 1.6 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
1.6. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 14500 ლარს.
3. გაუქმდეს ზემოაღნიშნული ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.4 პუნქტი.
4. შეთანხმება წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2020 წელს 14 თებერვალს გაფორმებული №26 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
5. 2020 წელს 14 თებერვალს გაფორმებული №26 ხელშეკრულების სხვა პუნქტები დარჩეს უცვლელი.
6. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან.

მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი	ა(ა) იპ ევროპული საგანმანათლებლო ცენტრი
საიდენტიფიკაციო კოდი - 245427809	საიდენტიფიკაციო კოდი: 416329761
ტელ: (+995) (422) 27 50 23	ტელ: +995571010503
მისამართი: ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ. #84/86	მისამართი: ქ. რუსთავი, შ. რუსთაველის ქ. კორ. 26, ბ. 13
	საბანკო რეკვიზიტები:
	სს თიბისი ბანკი
	ბანკის კოდი: TBCBGE 22
	ა/ნ GE52TB7423436080100007
	დირექტორი: გიორგი ბენაშვილი
_____ /თინათინ ზოიძე/ ბ. ა.	_____ /გ. ბენაშვილი/ ბ. ა.

შესყიდვის ობიექტის დასახელება	მომსახურების აღწერა	კვლევის I ეტაპის ფასი (ლარი)	კვლევის III ეტაპის ფასი (ლარი)	სულ ჯამი (ლარი)
<p>აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადგილობრივი ტურისტული ბაზრის კვლევა</p>	<p>საკვლევი ობიექტი: საქართველოს 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა, რომელიც წარმოადგენს ან ტურისტს ან ექსკურსანტს და რომლებმაც განახორციელეს თავიანთი ვიზიტი აჭარაში.</p> <p>კვლევის არეალი: შინამეურნეობების კვლევა მთელი ქვეყნის მასშტაბით (საქართველოს რეგიონებში და დასახლებულ პუნქტებში)</p> <p>კვლევის პერიოდულობა: ყოველთვიური</p> <p>მონაცემთა ანალიზი: კვარტალური</p> <p>კვლევის სპეციფიკა: გამოკითხვის პროცესში ყოველი თვის მონაცემთა შეგროვება ხდება მომდევნო თვეში.</p> <p>საკვლევი პერიოდი განისაზღვრება 1 წლით (იანვარ – დეკემბერი 2020 წ.) და იყოფა შემდეგ ეტაპებად:</p> <p>კვლევის პირველი ეტაპი:</p> <ul style="list-style-type: none"> - საკვლევი პერიოდი: იანვარი 2020 წ. - მარტი 2020 წ. (3 თვე) - კვლევის პერიოდი (მონაცემთა შეგროვება/გამოკითხვა): თებერვალი 2020 წ. - ივნისი 2020 წ. (5 თვე). <p>კვლევის მესამე ეტაპი:</p> <ul style="list-style-type: none"> - საკვლევი პერიოდი: ივლისი 2020 წ. - სექტემბერი 2020 წ. (3 თვე) - კვლევის პერიოდი (მონაცემთა შეგროვება/გამოკითხვა): აგვისტო 2020 წ. - ოქტომბერი 2020 წ. (3 თვე)/ <p>შერჩევის ზომა: მიმწოდებელმა უნდა მოახდინოს შერჩევის აგება კვლევის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს თანახმად შემსყიდველთან შეთანხმებით. შერჩევის ჩარყოს წარმოადგენს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემები. ამასთან, კვლევის ყოველივე ტალღისათვის შერჩევის ზომა განისაზღვრება არანაკლებ 400 - 650 დასრულებული ინტერვიუთი (ძირითადი კითხვარის მიხედვით). კვლევის შემდგომი / მომდევნო ტალღებისათვის მიმწოდებელმა უნდა იხელმძღვანელოს აღნიშნული შერჩევით.</p> <p>მონაცემთა დამუშავება და პროგრამული უზრუნველყოფა: მონაცემთა შეტანის, წმენდისა და კომპიუტერული დამუშავებისათვის გამოყენებული უნდა იყოს სტატისტიკური პაკეტი სოციალური მეცნიერებებისათვის (SPSS). მონაცემთა დამუშავებისათვის გამოიყენება აღწერითი სტატისტიკა. გამოკვლევის შედეგების პოპულაციაზე განზოგადების მიზნით უნდა განხორციელდეს მონაცემების შეწონვა.</p> <p>საგნობრივი შედეგი: შემსრულებელი დასრულებული ფორმით ვალდებულია შემსყიდველს მიაწოდოს შეწონილი, რეპრეზენტატული მონაცემთა ბაზა (SPSS), რომლის გამოყენება შესაძლებელი იქნება ანალიზისათვის მისი შემდგომი დამუშავებისა და კორექტირების გარეშე.</p>	<p>7250</p>	<p>7250</p>	<p>14500</p>

შემსყიდველი: _____

მიმწოდებელი: _____